№ 121

ხუთშაბათი, 8 ივნისი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 121

ხუთშაბათი, 8 ივნისი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## „ივერიის" რედაქციისაგან.

ვისაც ჰსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.



## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სიფლისტიკური, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12½—1½ საათ. სიფილისტიკური.

**ი. დ. ბაგთაბეგოვი**—საფილისის, განისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## ბორჯომში

ამ ზაფხულს იძლევა ქირით ბუჭა იოსელიანის საავარაკო სახლების მეორე სართულში

შვიდი ოთახი,

ყოველისავე მოწყობილობით. ქირის ან სხვა პირობების გაგებისათვის მსურველმა უნდა მიჰმართოს პირადად ან წერილით იმერეთის საეპარქიო აიითლის საწყობში ნიკიფორე ბოლქვაძეს, ქუთაისში. (3—6.—2)



## ახალი ამბავი

⁂ შაბათს, 3 ივნისს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ჰქონდა სასტატისტიკო ბიუროს კომისსიას, რომელმაც განიხილა ამ საქმის შესახები პროექტი და დაადგინა, ბიუროში იყოლიოს ხუთი წევრი და ერთი სპეციალისტი სტატისტიკოსი; გარდა ამისა ბიურომ უნდა იყოლიოს კავკასიის გუბერნიებში საგუბერნიო და სამაზრო კორესპოდენტები, რომელთა დახმარებით შეკრებილს ცნობებს ყოველ წლივ გამოსცემენ. მოწვეული სტატისტიკოსი ასრულებს აგრეთვე ბიუროს მდივნის თანამდებობას. კომისიის პროექტი წარედგინება განსახილველად საზოგადოების საბჭოს, რომელმაც შემდეგ საზოგადო კრებას უნდა წარუდგინოს განსახილველად. შემდეგ ამორჩეულ იქმნა ბიუროს თავმჯდომარედ საფიზიკო ობსერვატორიის გამგე ბ-ნი ს. ვ. გლასეკი, ხოლო მის მოადგილედ გ. დ. ჟურული.

⁂ საშუალო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი, რომელთაც განზრახვა აქვთ უმაღლესი სწავლა განაგრძონ, მოვალენი არიან საჯარო ბეგრის მოსახდელად უთუოდ რომელსამე საჯარო საკრებულოს ნაწილს მიეწერნენ და ეს მოწმობა სხვა საბუთის ქაღალდებთან ერთად იმ უმაღლესს სასწავლებელს წარუდგინონ, რომელშიაც აპირებენ შესვლას. ხოლო აღნიშნულის მოწმობის მისაღებად საჯარო საკრებულოს უნდა წარუდგინონ საშუალო სასწავლებელში სწავლის დამთავრების მოწმობა, რომელსაც ამ შემთხვევაში არავითარი საგერბო გარდასახადი და მარკები არ დასჭირდება.

⁂ მთავრობის განკარგულებით კახეთის რკინის გზის საზოგადოების წესდება დამტკიცებულია. აღნიშნული ლიანდაგი სამის წლის შემდეგ იქნება მზად. ეს ლიანდაგი დაიწყება ზემო-ავჭალიდგანა და 170 ვერსის მანძილს გაივლის სიღნაღის მაზრის სოფ. საქობომდე. ძირის თანხა შესდგება მთავრობის უგარანტიოდ გამოცემულ აქციებიდგან 1.400,000 მან. და ობლიგაციებიდგან არა უმეტეს 9.600,000 მანეთისა.

⁂ რუსეთის საზოგადოების „შუკერტისა და ამხ." წარმომადგენელისათვის უცნობებია ქალაქის გამგეობას, რომ, თუ 9 ივნისამდე ჩვენ მიერ წარმოდგენილს ხელშეკრულობას ხელს არ მოაწერთ ისე, როგორც შემუშავებულია, მაშინ აღნიშნული ფირმა ტფილისის ელექტრონით განათების საქმიდგან სრულიად გამორიცხული იქნებაო.

⁂ როგორც ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, ამ რამდენისამე ხნის წინად ქართველმა ეპისკოპოსებმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესს საქართველოს ექსარხოსს ფლაბიანეს თხოვნით მიჰმართეს, უწმიდ. სინოდის წინაშე ეშუამდგომლნა, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის შესრულების სახსოვრად ს.-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ქართულ საეკლესიო ისტორიის დამოუკიდებელი კათედრა დაეარსებინათ. ეხლა, როგორც გაზ. „ს.-პ. ვედომოსტები" იუწყება, ამ კითხვის განხილვას უკვე შესდგომიან და 22 მაისს მომხდარს სხდომაზედ აკადემიას დაუდგენია: აკადემიის პროფესსორთაგან—ტ. ვ. ბარსოვისა, ნ. ვ. პოკროვსკისა და დოცენტის ა. ი. ბრილლიანტოვისაგან შესდგეს საგანგებო კომისსია, რომელმაც აღნიშნული საგანი დაწვრილებით უნ-

## ფელეტონი

### უდები და იმათი ვინაობა.

ამ 14 წლის წინად შემთხვევით მოვხვდი ს. მეჯვრის-ხევში ერთის მემამულის სახლში. ჩემმა ამხანაგმა წარმადგინა სახლის უფროსთან (თუ სტუმართან, აღარ მახსოვს, გენერლის ქვრივი კი იყო): „ინგილოა, გეგონებათ, ისინიც ქართველები არიანო".—„ინგილო-კი არა და ინგლისელი კი გაგეგზული მაქვსო", მიუგო დიასახლისმა. მე, მაშინ ისევ მოსწავლეს, მეტად გამიკვირდა, რომ წარჩინებულ ქართველის ოჯახშიაც არ იცნობენ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხის ქართველთავე. ეხლაც ბევრს, ამ წერილის მკითხველს, გაუკვირდება, ვინ არიან უდებიო... ორიოდე სიტყვით მსურს ვაუწყო მკითხველ საზოგადოებას, თუ ვინ არიან უდები გვენათესავებიან თუ არა და რა მდგომარეობაში იმყოფებიან ეხლა.

უდები (რუსულად „უდინ") წარმოსდგებიან ძველადგანვე ცნობილ ალბანელთაგან. სომხები ამბობენ, ჩვენი მონათესავე „აღოვანიელები" არიანო. აღოვანია იგივე ალბანიაა, მხოლოდ სიტყვაში ასო ლ გამოითქმება, სომხების ენის ხასიათისამებრ, ღ—ად, ურიებსავით, რომელნიც ასოს ს გამოსთქვამენ, ვითარცა შ (მესსია—მეშია, მისაილ—მიშაილ, მოსე—მუში): ლუკა სომხურად—ღუკას, ქალაქი—ქაღაქ, ელისე—ეღიშე (ს ურიულად შ შეცვალა), კათალიკოსი—კათაღიკოს, ლაზარე—ღაზარ და სხ. უძველეს დროში ქართველებსა სჭერიათ კავკასიის დასავლეთი ნახევარი, კავკასიონის უმთავრეს ქედიდგან მცირე აზიამდე, ხოლო ალბანელთ—კავკასიის მეორე, აღმოსავლეთის ნახევარი კასპიის ზღვამდე. სომხები მაშინ მოსახლეობდნენ მცირე აზიაში, კავკასიის იქით, ასე რომ ალბანელთა და სომეხთ შორის არავითარი ნათესაობა არ მოიპოვება.

ზოგიერთ მოხუც უდისაგან გამიგონია, რომ უწინდელს დროში უდებს ზღვას ახლო დიდი ბრძოლა ჰქონია ვიღაც ხალხთან; უდების მეფეს, სახელად უდს, ჯარი უმხნევებია ხმა-მაღალის ძახილით: „კასპა"-ო. ეს სიტყვა ჰნიშნავს: დაჩეხე, დაჰკეფეო. იქნება კასპიის ზღვას აქედგან დაერქვა ეს სახელი?—იმ დროში ალბანელთ შეადგენდა თურმე 26 მოდგმა: სტრაბონი სწერს, რომ ალბანიაში 26 ენაზედ ჰლაპარაკობენო. დრო ხომ ყველაფრის შემცვლელია: ქართველებმა დაიწიეს ჩრდილოეთისაკენ და ძველი ურარტი სომხებს დარჩათ; ალბანელთაც მთისკენ, დაღესტანში, გაუწევიათ და მათ ალაგას დამკვიდრდა თათრობა, დაღესტანში ეხლა 26 ენაზედ ნაკლები არის: თითქმის ყველა საზოგადოებას ერთ და იგივე სანაიბოში თავისი ენა აქვს. მათ შორის ქართველნიც არიან: სამურის ოლქში ს. მისკენ-ჯანელებს და მთელს ანწუხის საზოგადოებას ეხლაც ახსოვთ თავიანთი ქართველთაგან ჩამომავლობა, მათს ენაში მრავალი ქართული სიტყვაა, ხოლო სოფლის მიდამოში მრავალია ეკკლესიათა ნანგრევი. ალბანელთაგან კავკასიონის ქედს აქეთ მხოლოდ უდები დარჩენილან; ამათ სახელ-წოდება მიუღიათ ზემოხსენებულ მეფე უდისაგან. ნამდვილს უწინდელს დაღესტნის მკვიდრს ეხლაც ჰქვიან გულხადარია (გულ-დადარა, ეს სიტყვა—ქართულია), დანარჩენთ-კი—ლეკი. ამ სიტყვით (ლეკი) უწოდებს მათ მხოლოდ ქართველი და უდი. დანარჩენი კავკასიელნი ეძახიან „ლეზგი", აქედამ რუსულად—ლეზგინ. საზოგადოდ ეხლანდელ დაღესტნელების (ლეკებისა და არა გულხადრების) ალბანელთან ერთს შთამომავლობას ისიც ამტკიცებს, რომ მათს ენაში მოიპოვება უდური სიტყვებიც. თვით უდების ენაში კიდევ ქართული სიტყვა მრავლად მოიძებნება: ზემოდ აღვნიშნე, რომ დაღესტნელს მხოლოდ ქართველი და უდი უწოდებს „ლეკი". აგრეთვე მუღალს (მონგოლი), ან სხვა თათართ მხოლოდ ქართველი და უდი ეძახის „თათარი" (თათი არი, თათი—მაჰმადიანი ხალხია). რუსული „ტატარინ" წარმოსდგება ამ ქართულის სიტყვით. სხვა კავკასიელთა ენაში, ვფიქრობ, სიტყვა თათარი არ მოიძებნება. შემდეგ, მამასახლისისათვის დაქირავებულს მოსამსახურეს მხოლოდ ქართველი და უდი უწოდებს „გზირი" (უდურად—გიზირ), თათრულ-სომხურად კი—ჩოუში ეწოდება. ამას გარდა უდურს ენაში შემდეგი ქართული სიტყვებია, უდურად: წაბულ (წაბლი), წინდაკ (წინდა), ქალამ (ქალამანი), სუბუქ, სვინტრ (მცენარე სვინტრი), მუჰა, წილ (წილი, წილის-ყრა), მაჩხატეკალ (ინგილოურად—მაჩხატელი დამურასა ჰქვიან), კერეკ (კრიკინა), მახ (მუხა), ჰო (თანხმობის ნიშანი—ჰო!) პატარ (პატარა, ერთი ბეწვა), კობალ (კომბალი, ჯოხი), მურ (მური, მქვარტლი), მული, პეპელაქ (პეპელა), ეთარ (ვითარ, როგორ), დე (დღე), ქოცა (ქოცო, პატარა ქვევრი), ტიკ, ან ტიკჭორ, ჭუნტ (ჭოტი), პარასკი (პარასკევი), მაყარ (მაყარი), ყოლიარ (ინგილონიც ასე იტყვიან ყველიერის მაგიერ), ღანძილ, შუქ (შუქი), ფინთი (ცუდი, მყრალი, მუხდალი), ბადალ (გაცვლილი, სამაგიერო), ჭალაგ (ჭალა, ტყე), ქუნდრუკ (კუნდრუკი, საკმელი) და სხვანი. აგრეთვე—ადგილწოდება: „ხაზურ" (აქ ერთი ალაგია მთაში, სადაც შიშიანობის დროს იხიზნებოდნენ უდები; იქ ეწოდება ეს სახელი, როგორც საზვერავ ალაგს, საზვერე); ვართაშენი (სოფელია), სომხები თავისებურადა ჰხსნიან ამ სახელწოდებას: „ვარდან-შინ" (ვარდანას სოფელი); ზოგი უდების ისტორიის მაძიებელი (მაგალითებრ, მღვდ. ჯანაშვილი) ასე ამბობს: „ვარდთა-შენი" (ვარდი და შენობა, აშენება); ნამდვილი-კი ასეა: მოხუცი უდი არ იტყვის „ვართაშენი", არამედ—„ორთაშენ", ე. ი. ორთაშენი, ორის ნაშენი, ან ორ მთა შუა ნაშენი. აგრეთვე სოფლებია: კუთხაშენ (მთის კუთხეში ნაშენი), კოშკაშენ (სოფელში კოშკია), ჭალით (გზა სოფელს ჭალა-ჭალა მიუდის), ზაგზით

და განიხილოს და თავისი დასკვნა აკადემიის საბჭოს წარუდგინოს.

*** ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერ.-მაიორი გერშელმანი საგუბერნიო საქმეთა გამო ტფილისშია ამ ჟამად.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ბ-ნი ი. ს. შანსიერი სამსახურს თურმე თავს ანებებს.

*** განზრახვა თურმე აქვთ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში სამის წლის მაგიერ ოთხის წლის კურსი შემოიღონ.

*** ამ ზაფხულს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სასოფლო სამეურნეო ეკონომიის განყოფილების ერთი რომელიმე წევრი კავკასიაში თურმე ჩამოვა იმ აზრით, რომ გამოიკვლიოს შავის ზღვის ნაპირიდგან რამდენი ხორბლეული გააქვთ საზღვარგარედ.

*** როგორც იტყობინებიან, განჯის გუბერნიაში საქონლის ჭირი ძლიერ გავრცელებულა. განჯის გუბერნიის სხვა და სხვა მაზრაშა რამდენიმე ბეითალი და საბეითალო ინსტიტუტის სტუდენტი იგზავნება.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის სამმართველოში ამიერიდგან სამსახური მხოლოდ პირველ საათამდე იქმნება.

*** კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობის წევრი ა. თ. უმისსა მალე ფოთსა, ბათუმსა და ყარსის ოლქში წავა საკარანტინო-საბაჟოების დასათვალიერებლად.

*** როგორც ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის ასრულებელი აცხადებს, ამ ზაფხულს მთხოვნელთ მხოლოდ სამშაბათობითა და პარასკეობით მიიღებს ხოლმე დილის $10^3/_4$ საათიდგან შუადღემდე.

*** კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილას განზრახულ მეაბრეშუმეობისა, მეფუტკრეობისა და ბაღოსნობის ნაწარმოებთა გამოფენისათვის მიწათმოქმედების სამინისტროს 29 ვერცხლის და 29 ბრინჯაოს მედალი დაუნიშნავს.

*** როგორც ქუთაისის საგუბერნიო მმართველობა აცხადებს, ამიერიდგან ახალ-სენაკში ლუკა და იულონ ჰყადუათა მამულში ყოველწლიური ბაზრობა არსდება, რომელიც 7 დღეს, 22-იდგან 29 ივნისამდე თურმე გასტანს.

*** როგორც ქუთაისიდგან გვწერენ, შეუძლებელია თურმე წარმოიდგინოს კაცმა, თუ რა მდგომარეობაშია იქ ეგრედ წოდებული ორპირის ქუჩა, რომლითაც მთელი ქვემო-იმერეთ-სამეგრელოს ხალხი შემოდის ქუთაისში: უსუფთაობა, და ოღრო-ჩოღროობა ქუჩისა და სხ. შეუძლებელად ხდის თურმე წვიმის დროს ამ ქუჩაზედ გავლას. გარდა ამისა ამავე ქუჩაზედ იმყოფება გადამდებ სენით ავადმყოფთა ქალაქის საავადმყოფო, რომლის სხვა უფრო სუფთა და მოშორებულ ადგილას გადატანა ყოვლად სასურველია. სასურველია აგრეთვე, რომ ამ ქუჩაზედ არსებული ორი აბრეშუმის ქარხის სახმობი ფარდული სხვა ადგილას გადაიტანონ, რადგანაც საშინელს მძამე სუნს ავრცელებს და ადვილი შესაძლებელია რაიმე სენი გავრცელდეს ამის გამო.

ს. ენისელი (თელავის მაზრა). 26 მაისს აქ ერთი უბედურება მოხდა. ენისელიდგან გლეხებს ბოჭკებით ღვინოები მიჰქონდათ. სოფლის ბოლომდ რომ გავიდნენ, საუზმედ თურმე დასხდნენ. ამ დროს მინდვრიდგან მომავალა აქაური გლეხი, მეღორე მწყემსი ლაზო არჯევანიშვილი. დაუნახავთ თუ არა, გლეხებს არჯევანიშვილი მაშინვე სუფრაზედ მიუწვევიათ და ღვინით გამოუთვრიათ. ღვინით გამძღარნი მერე ბაღზედ თურმე მიიწვია ერთმა ამათგანმა. უზომოდ შეზარხოშებული არჯევანიშვილი ბაღზედ ავიდა და ბაღს ისე დაუწყო კრეფა; ამ დროს უბედურს ტოტი მოუტყდა და ჩამოვარდა, მაგრამ ისე საშინლად დაშავდა, რომ მალე გარდაიცვალა.

*** ს. მირზაანი (ქვემო ქიზიყი). ამ სოფელს ორი სკოლა აქვს, ერთი ვაჟებისა და ერთიც ქალებისა. ვაჟების სასწავლებელი მოთავსებულია საზოგადოების შენობაში, ხოლო ქალებისა მ. ღ—შვილისაში. აქამომდის ამ შენობის ქირას თვითონ დირექცია იხდიდა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში სასწავლო სკოლების ინსპექტორმა გამოუცხადა ჩვენის სოფლის მამასახლისს, რომ თუ გინდათ ქალების სკოლა თქვენს სოფელში დარჩეს, საზოგადოებამ იკისროს სკოლის შენობის ქირის გაღება, თორემ წინააღმდეგს შემთხვევაში, ამ სკოლას ს. კაკაბეთში გადავიტანთ. ამასთანავე უბრძანებია, თუ სოფელი თანახმა იქნება, რომ ეს ხარჯი იკისროს, მაზრის უფროსის მიერ დამტკიცებული განაჩენი წარმოადგინეთო. იმედია, შვიდი-რვა თუმნის გულისათვის საზოგადოება სკოლას არ გამოსწირავს თავიანთ შვილებს და საჭირო ქირას გაიღებს.

*** იქიდგანვე: მაისის 27-ში მ. ლაპიაშვილის ბაკიდამ მოიპარეს უღელი ხარი და სხვა საქონელი. არც გზები არის დამშვიდებული, ის გზები, რომლითაც ჩვენებურ მწყემსებს მიუდით ცხვარი მთებისაკენ: მაისის ხუთში საგარეჯოს ბოლოზე, იორთან, თათრებმა მოჰკლეს თოფით ერთი საუკეთესო თავისის პატრონებით და ადამიანობით ოჯახიშვილი დათო ლაპიაშვილი. დილა ადრიანად დასცემოდნენ თათრები ბინას, ახალი სისტემის თოფებით შეიარაღებულნი, და მწყემსების თვალ წინ მოუკლავთ კაცი; მეცხვარეებს საშველად ვერც კი მოუხერხებიათ, მაგრამ ან კი რითი, როდესაც ახალის სისტემის თოფების ხმარება თუნდაც გაჭირვების დროს მეცხოვრებთ აკრძალული აქვთ.

*** ს. ქვემო-ბია (ზუგდიდის მაზრა). შვიდ აპრილს მისის ყოვლად უსამღვდელოესობის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზის ალექსანდრეს მონდომილობით ხობის მონასტრის არქიმანდრიტმა სიმეონმა გვიკურთხა ახალი ქვის ეკლესია, რომელსაც ჩვენმა მღ. მ. ნესტორ სასანიამ ორასი მანეთი შესწირა. კურთხევას დიდ ძალი ხალხი დაესწრო; ერთი მხრით გალობდა ხობის მონასტრის კრებული და მეორის მხრით ქვემო ბიის სამრევლო სკოლის მოსწავლეები. მ. ნესტორ სასანიასვე წყალობით იქმნა ეს სკოლა ამ სამის წლის წინად აგებული, რომელსაც თავისი 300 მან. დაახარჯა და ახლა წიგნთსაცავის დაარსებასაც გაპირებს; თუ ხელი არამ შეუშალა, იმედია, მალე ამ საქმესაც განახორციელებს.

*** სამშაბათს, 6 ივნისს, პოლიციის მე-3 ნაწილში დაიჭირეს ნიკოლოზ ქეთაშვილი, რომელსაც ოლდინის გაქურდვა ჰბრალდება. ქეთაშვილი მეტეხის ციხეში დაამწყვდიეს.

*** სამშაბათს, 6 ივნისს, პოლიციის მე-6 ნაწილში ვარანცოვის ქუჩაზედ ერთმანეთს წაეჩხუბნენ სპარსეთის ქვეშევრდომნი მამედ-ალი-ისმაილ-ოღლი და აბას-მამედ-ოღლი. იმათ გასაშველებლად ჩაერია ერთი მათი ამხანაგთაგანი ამაზ-კურგან-ოღლი; ამ დროს მამედ-ალი-ოღლიმ იძრო ბებუთი და გამშველებელი კურგან-ოღლი ორგან დასჭრა ზურგსა და ბეჭში; ალი-მამედმა თითონაც დაიჭრა ფეხი ბებუთით. დაჭრილნი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

*** სხვა-და-სხვა გადამდებ სენით ავადმყოფთა რიცხვს წარსულს თვეში 72 მიუღწევია. ამათგან ავად ყოფილა: ქუნთრუშით 22, წითელით—22, ყვავილით—5, ხუნაგით—4, ყელჭირვებით—1, კანის სახადით—2, მუცლის სახადით—3, დასაბრუნ სახადით—12.

*** როგორც „წყალში დარჩობისაგან გადამრჩენ ტფილისის საზოგადოების“ ცნობებიდგანა სჩანს, წარსულის წლის განმავლობაში მდინ. მტკვარში დარჩობისაგან გადაურჩენიათ სულ 5 კაცი და ერთი ქალი.

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

თანდათან ბნელს ნათელი მოეფინა, გამოირკვა, გამოირჩა მართალი და მესამე დასის უკუღმართი ნავარდობას მზემ თავისი სხივები მიაფინა, რომ უკეთ დაენახა ქვეყანას ამ დასის უსუსურ და შაქრის ქაღალდის აბჯარ-ჩაჩქნით შეიარაღებულ დევგმირების დუხჭირობა და უხამსობა!..

ხომ ჰნახეთ, მკითხველო, „ახალ-მოსულის“ მწვავ მათრახის ტოტებით დასუსხულმა ნოე ჟორდანიამ როგორ მოიშველია თვის მიერ გაბრიყვებულნი ერთი „ქართველი ექიმი“, ორი „სტუდენტი“ და თვის მიერვე სახელ-წოდებული „ნულები“, რომ იმათ ამოჰფარებოდა და თითონ უკან გასაბრუნებელი გზა მოენახა. დიაღ, წინ ამოიყენა ნოე ჟორდანიამ, ამ მესამე დასელების „იდეინიცამ“, ნულები და ასე ეგონა, სიმრავლე და ძლიერება მომემატებაო, მაგრამ ანგარიში წაუხდა და უფრო დამცირდა, უფრო დაწვრილმანდა ყოველის გონიერისა და არითმეტიკის მცოდნე ადამიანის თვალში. ამ უცნაურ მომხრეების ძებნით ნოე ჟორდანიას ისე მოუვიდა, როგორც ჩირგვისაგან შეშინებულს ურიას, რომელმაც ცალს ხელზედ ქუდი ჩამოიცვა, მეორეზედ —იარაღჩინი და ისე გამოექცა ჩირქვს,—მარტო მე-კი არ გეგონო, ჩვენ სამნი ვართო. ისიც თავისის „ნულებით“ გამოეჯგიმა „ახალ-მოსულს“,—მარტო არ გეგონო, აგერ რამდენნი ვართო!

ისიც ხომ ჰნახეთ, რომ ამ ნიღაბ-ახდილობის მომხრემ ნიღაბი არ აჰხადა თავისს ერთს „ქართველ ექიმს“, ნულებსა და სხვათა მისის კვალით მორონინეთა, არ გამოაქვეყნა ვინაობა 47 მკითხველისა, რომელნიც „კვალში“ სწერდნენ, ჩვენის წერილის პირი „ივერიის“ რედაქციას გავუგზავნეთო, და „ივერიაში“ გამოგზავნილს „პირში“-კი უპირობა გამოიჩინეს და ქვეშ წარაწერეს: „რიცხვი და სია მკითხველებისა“ „კვალის“ რედაქციასა აქვსო!.. ესეც ერთი მეათას-სამოცე უკუღმართი მალაყი ნიღაბ-ახდილობის მომხრე ნოე ჟორდანიასი!..

ისიც ხომ ჰნახეთ, რომ ნოე ჟორდანია „კვალი“-თურთ „ახალ-მოსულს“ უკიჟინებდნენ, — იგინება, ილანძღებაო, თუმცა მან მხოლოდ ის დანაშაული ჩაიდინა, რომ უმეცრებას, „უმეცრების“ მეტი, სხვა სახელი ვერა გამოუგონა-რა,—უკიჟინებდნენ მაშინ, როდესაც თითონ

(ან ზევითის გზით), მუხას, ორაბან (ორი ბანი, ან ორი უბანი).

ესეც რომ არ იყოს, როგორც ზევითა ვთქვი, აქეთ, უდებისკენ სომხური არა ყოფილარა: თვით ეხლანდელი აქაური სომხები (ნუხის მაზრისანი) ამ მიდამოში შემდეგ გადმოსახლებულან; ალა-მაჰმად-ხანს აქედამ გადუსახლებია ხალხი და მის მაგივრად გადმოუსახლებია ყარაბაღელი და ხოიელი სომხები (საერო განათლების სამინისტროს ჟურნალი 1842 წ.). თვით ეს სომხები (მათი სოფლებია: იაღუფლუ, ზარაფ, ჩაიქენთ, მალუდ, ჯაფარ-აბად ყაიაბაში—თათრული სახელებია, ნუხელი სომხებიც მაშინ გადმოსახლებულან) ამბობენ, რომ ჩვენა ვართ ხოიელებიო (ყაიაბაშიელები) და ყარაბაღელნიო (დანარჩენ სოფლელნი), აქ ჩვენი პაპები მოსულან ამ 100 წლის არა უწინარესო.

„ხოელი“ სომხები სპარსეთიდგან არიან, „ხოი“-ს პროვინციიდგან. სპარსელების პოლიტიკა საქართველოს დასამორჩილებლად ამაში მდგომარეობდა: შეუძლებლად ჰნახეს-რა საქართველოს გამაჰმადიანება და ამითი მისი შეერთება, როცა კი გაიმარჯვებდნენ, გადაასახლებდნენ ხოლმე ქართველს ხალხს ათასობით და მათს ალაგას სხვას გადმოასახლებდნენ. აი, მაჰმედ-ხანმაც შექიდამ (ნუხის მაზრა) გადაასახლა ხალხი და მის მაგიერ „ხოი“-დგან სომხობა გადმოასახლა, რადგანაც სომხები, აქა თუ იქ, ყურ-მოჭრილ ყმებად ეგულებოდათ. ხოელ სომხებს თან გამოაყოლეს მათი სპარსელი ბატონიც. მისი შვილი ეხლაცაა, განჯაში სცხოვრობს გენერალ-მაიორის ღირსებით, გვარად „ხან-ხოისკი“.

ქრისტეს სჯული აქ დაუმყარებია მოციქ. თადეოზის მოწაფეს ელისეს; მის სახელზედ აქ არსებობს ძველის ეკლესიის ალაგი (ნიშებით), რომელსაც სომხები უწოდებენ „ელიშე-არაქელ“ (ელისე მოციქული) და რომელიც, მათ და ჩვეულებისამებრ, დაუსაკუთრებიათ. ყველა უდები, როგორც შთამომავალნი მართლ-მადიდებელ ალბანელთაგან, მართლ-მადიდებელნი ყოფილან. უდური ეპისკოპოსი (ქიშელი, ქიში სოფელია ნუხთან) ქართველ მეფეთა გვირგვინის კურთხევისას მეთერთმეტე ადგილს იჭერდა მარცხნივ (პლ. იოსელიანი, ქ. ტფილისის აღწერა). ქართველს პატრიარქს ექვთიმეს მე-IX საუკ. დაუთვალიერებია ვართაშენის წმ. ელიას ეკლესიაც (ისტორია მ. ჯანაშვილისა).

მაშინ, როდესაც საქართველო ნებით შეუერთდა სჯულით მოძმე რუსეთს, ეს უდების მხარე ასეთ მდგომარეობაში იყო თურმე: შაჰ-აბასისაგან აოხრებული საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი, საინგილო, გამაჰმადიანებული იყო, ასე რომ უდები (ინგილოთა მომიჯნავენი) მოწყვეტილნი იყვნენ დანარჩენ საქართველოსაგან. ალა-მაჰმედ-ხანის მიერ საქართველოს აკლების შემდეგ ხომ სრულიად მოისპო ქართველთა და უდთა შორის ძმური კავშირი. მხოლოდ 6-ოდე უდების სოფელი და (ვართაშენი, ქიში, ნიჯი, სულთან-ნუხი, მირზაბეგლუ, ჭალითი, ეგიქენთი და სხ.) დარჩენილიყო მაშინ მართლ-მადიდებლად. ქართველ ეპისკოპოსების მიერ (ქიზ-ქურმუხელთ და ბოდბელთ) ნაკურთხი მღვდლებიც მოისპნენ. რა უნდა ექმნათ უდებს? საჭირო წესნი: ნათლობა, ჯვარის წერა, დასაფლავება და სხ. რჩებოდა უმღვდლოდ. ამ გარემოებაში, რა თქმა უნდა, თათრებზედ სარჩევნი იყვნენ იმ დროს აქეთ გადმოსასახლებლად სომეხნი. იმათი მღვდლები ასრულებდნენ საჭირო წესებს და ამ სახით უდების უმრავლესობა სომხად ჩაიწერა ამ საუკუნის მეოცე წლებამდე. მე-20 წლებში მართლ-მადიდებლობდა 100-ოდე კომლიღა მხოლოდ ს. ვართაშენში. დანარჩენი უდები (ვართაშანისა ზოგი, ნიჯში, სულთან-ნუხი, ქიში, მირზაბეგლი, ჭალითი და სხ.) სომხის სარწმუნოებაზედ იყვნენ და ერთი მცირე ნაწილიც გამაჰმადიან-გადაგვარებულიყო და არის ეხლაც. მაჰმადიანი უდები ითვლებიან: თვით ნუხში, სოფ. ფადარში, ხაჩმაზში, ვარდანლუში (ვარდიანი), ზაგზითში, ორობანში, ხალხალში (ეს ხალხალი მ. ხორენელის „ხილხილია“, ალბანელთა მეფეთა საზაფხულო სამყოფელი; საზამთრო სამყოფლად ჰქონიათ პარტავი, აწ სოფელი ბარდა შუშის მაზრაში).

აქ უნდა ითქვას, რომ მაშინ უდები მართლ-მადიდებლობას გადუდგნენ მხოლოდ ზემოხსენებულ გარემოების წყალობით: მართლ-მადიდებელთა მღვდელთა მოსპობისა გამო და არა სომეხთა მეცადინეობით. მაშინ აქაურს სომხობას ამისი თავი კი არა ჰქონდა: ესენი 20-ოდე წლის გადმოსულნი იყვნენ და შექელ (ნუხის) ხანების ყმებად ითვლებოდნენ. იმათ თავიანთის თავისაც ეშინოდათ,—არ გაგვათათრონო. რუსების პირველმა შემოსვლამ აქაურობას სულ სხვა ელ-ფერი დასდო. სომხებს გაუკვირდათ, რუსებიც უდების სჯულისანი (ვართაშენში) ყოფილანო და ამიტომ პატივსა სცემენო; ამ საუკუნის მე-20 წლებში მთავრობამ აუგო უდებს ს. ვართაშენში მშვენიერი ტაძარი, ღირებული არა უმცირეს 25 ათას მ., და მღვდელიც დაუნიშნა. ამით აიხსნება ის, რომ არამც თუ მრავალი გადამდგარი ვართაშნელი უდი შეუერთდა ისევ მამა-პაპათა სჯულს, არამედ სომეხთაც დაეტყოთ სურვილი მართლ-მადიდებლობის მიღებისა და და ერთმა სოფელმაც, თაზაქენთმა მიიღო კიდეც მართლ-მადიდებლობა! მაშინდელმა ჩვენმა სასულიერო მთავრობამ ვერ მოახერხა ესარგებლნა ამ გარემოებით. აქეთ, მთელს განჯის გუბერნიაში, მაშინ არც ერთი მართლ-მადიდებელთა ეკკლესია არ არსებობდა. თვით უდების მეზობელნი ინგილონიც ჯერ ისევ მაჰმადიანობაში იყვნენ ჩაფლულნი. მაშინდელს აქაურს მღვდელს მიწერ-მოწერა ჰქონია თვით ეგსარხოსთან (მოსე, ისიდორე და სხ.) და ოსეთის სასულიერო კომისიასთან, და აი, ზემორე აღნიშნულს გამართლ-მადიდებულს სოფელ თაზაქენთს მღვდელი არ დაუნიშნეს; ის მიაწერეს ვართაშნის ეკკლესიას.

ახალ-თიხირელი მწყემსი

(დასასრული იქმნება)

იგინებოდნენ და ილანძღებოდნენ უშვერის ლექსიკონით, თვით იქმოდნენ ავს და სხვას ახვევდნენ თავს *).

დღეს ნოე ჟორდანიის და მისის ბრბოს ერთს ახალს უნარსაც გაჩვენებთ, ისეთს უნარს, რომელიც ცხად ჰყოფს, რა „რეცეპტსა“ ჰხმარობს ეს „ლიტერატურულ ეთიკის“ დამცველი ვაჟბატონი „ნულების“ შესაქმნელადა და გულ-უბრყვილო ხალხის მოსალორებლადა და გასაბრიყვებლად; ცხად ჰყოფს იმასაც, რომ ჩვენს მ ტ კ ნ ა რ ს „მეცნიერს“ და უ ე ბ რ ო „ფინანსისტს“ მარტო ქუთათური პ. სურგულაძე, ეს „დიდის სურვილების მქონე პატარა წრის“ წარმომადგენელი, არა ჰყოლია დამქაშად, ერთი ამისთანა კაცუნა ჭიათურაშიაც გამოსჩენია...

„კვალი“-ს მე-19 №-ში მაისის 7-ს დაიბეჭდა ჭიათურიდგან 25 აპრილს გამოგზავნილი წერილი შემდეგის შინაარსისა:

„დიდათ(დ) პატივცემულო ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ(დ) გთხოვთ შემდეგი პროტესტი გამოუცხადოთ ბ-ნ ნოე ჟორდანიას ჩვენ ქვემორე ამაზე ხელის მომწერთ ს. ჭიათურაში მყოფ პატარა ჯგუფის მაგიერ: ეს ერთი ხანია(,) რაც ვიღაც „ახალმოსული“ გამოსულა და გაზ. „ივერიის“ ფურცლებზე თავის ლ ა ნ ძ ღ ვ ა-გ ი ნ ებ ი თ (?!) ვითომ პოლემიკას უწევს ბ. ნოე ჟორდანიას. ჩვენ სრულებით არ გვიკვირს ახალმოსულის ამნაირი საქციელი, ჩვენ მაგისთანა ლანძღვა-გინება მხოლოთ ტფილისის აბანოებთან [1]) გაგვიგონია. სხვაგან ამგვარი არაფერი არსად არ გვსმენია.—დიახ, ჩვენ ესენი არ გვიკვირს, ჩვენ გვიკვირს და გვწყინს, რომ ბ. ნოე ჟორდანია ამისთანაებთან კადრულობს ბაასს, განა ეს შეჰფერის (ვა, ვა, ვა!) ბ. ჟორდანიას? ან მიეტევება მას ამისთანა საქციელი? (ოღონდაც!)

ბ. ჟორდანიას აქვს, რა საკვირველია, შეგნებული თავისი მიმართულება და მასთან სხვებსაც ბევრს ესმის ეს: [2]) მის პირდაპირ მოვალეობად მიგვაჩნია ჩვენ, რომ მან, როგორც აქამდის, განაგრძოს თავისი აზრებით და იდეებით იმ ტაძრის მიმართულების ქადაგება, რომელსაც ის ემსახურება. დეე „ახალმოსულმა“, რამდენიც უნდა ილანძღოს(,) მწერლობასთან რა აქვს მას საერთო?

ერთი სიტყვით(,) ჩვენ ვთხოულობთ, რომ ბ. ნოე ჟორდანიამ თავი დაანებოს კინტოებთან [3]) კამათს და განაგრძოს ანდრინდულად თავისი წმინდა საქმე. ყველამ იცის, ვინ არის „ახალმოსული“ და ვინ ნოე ჟორდანია [4]). წინააღმდეგ შემთხვევაში ვთხოულობთ აგრეთვე, რომ ან „კვალში“ თანამშრომლობას დაანებოს თავი, ან და იძულებული ვიქნებით გაზ. „კვალის“ კითხვას თავი დავანებოთ [5]).

გ. ბერიძე, ივ. ჯანელია, მ. კალანდაძე, ნ. ჩიჩუა, კ. კიკიანი, რ. ჩიხლაძე, დარ. მარაქველიძე, ილ. კაკაბაძე, კარპე მოდებაძე“.

ვინ არიან ეს ცხრანი, არ ვიცით, ეჭვი არ არის, ესენიც იმ „ნულთაგანნი „იქმნებიან, რომელნიც შესანიშნავმა „ფინანსისტმა“ „იედინიცამ“ წინ გაიმწკრივა საფარად და ამითი ეგონა, რაკი მე, „იედინიცას“, წინ „ნულები“ მესხდება, გავძლიერდები, გავმრავლდები, და „ახალ-მოსულს“ ჩემი ასეთი სიმრავლე შეაშინებსო!.. ვისთვის არის, ამ ჭიათურის ცხრა მკითხველის აზრი სავალდებულო?!.. ვის რად ეჭაშნიკება იმისი ცოდნა, რომ ისინი ტფილისის აბანოებთან ყოფილან და ლანძღვა-გინების ლექსიკონი იქ შეუსწავლიათ?!.. ეს რომ არც განეცხადებინათ, თითონ იმათის წერილის შინაარსიდგანაც აშკარადა სჩანს, რომ მისი დამწერი ტფილისის აბანოებთან გაწვრთნილა და განვითარებულა, მაგრამ მერე რაო!? რა-კი ასეთი ბრწყინვალე სწავლა-განათლება მიუღიათ, იმათს მსჯავრს უნდა დაექვემდებაროს „ახალ-მოსული“, „ივერია“ და თუნდა „კვალი“ და ნოე ჟორდანიაც?!.. ნოე ჟორდანია თავისის „კვალი“-თურთ თუნდა დაექვემდებაროს კიდეც, განა „ივერია“ და რომელიმე გონიერი ქართველი მკითხველი ბაიბურში ჩააგდებს ამ აბანოებთან განსწავლულ ვაჟბატონების ჩმახვას?..

მაგრამ, მკითხველო, ნუ აჩქარდებით!.. ეხლა ერთს სხვა წერილსაც გაგაცნობთ და ის დაგანახვებთ, ამ კუდ-აქიცინებულ ძაღლის თავი სადა ჰმარხია. აი რასა მწერს ერთი ჭიათურელი:

„ახალი ამბავი აქ ის არის, რომ ჭიათურაში დაბრუნდა ამ ერთის კვირის წინად ტფილისიდგან კარპე მოდებაძე. ჩამოსვლისათანავე დასწერა რაღაც ლანძღვა „ახალმოსულის“ მიმართ, რომელიც უკვე იყო დაბეჭდილი „კვალში“ და ჩამოატარა მთელს ჭიათურაში. ვინც შეგნებულთაგანი შეხვდა, ხელი არ მოუწერეს,—ჩემი საქმე არ არის ჟორდანია და ახალ-მოსული თითონ გამოსწორდებიანო. გაუბრიყვებია მისთანა პირები, რომელთაც არც-კი წაუკითხავთ წერილი, და გაუგზავნია ჟორდანიასათვის. როცა შევეკითხე ხელის მომწერთ, რა თქვენი საქმე იყო მაგეების წერა-მეთქი, ყველამ განაცხადა,—არ წამიკითხავს, ისე მომაწერინეს ხელიო, და დამნაშავედ აღიარეს თავისი თავი.

ტ. ი. ქ—ძე“

როგორ მოგწონს, მკითხველო, ეს შენთვის ახალი და ჩემთვის-კი ძველად-ძველი ამბავი, რადგან მე ისიც ვიცი, როგორ შეხანხლა შესანიშნავმა „მეწვრილმანე ვასილ კირვალიძემ“ ას ერთის მიერ ხელ-მოწერილი ეპისტოლე, რომლითაც იგი „კვალის“ სამეფოში საქართველოს წარმომადგენლად დაინიშნა!.. განა რომ „უნარიანი“ ვაჟბატონი ყოფილა ჩვენი „წინ ნულებ-ჩამწკრივებული იედინიცა“—ნოე ჟორდანია და გერმანიაში კარგად შეუსწავლია, წყლის ამღვრევა და ამ ნამღვრევში თევზების ჭერა!.. აკი არა გჯეროდათ, როდესაც „კვალი“ სწერდა, რომ „ხალხისა და „კვალის“ თანამშრომლების გრძნობა შეერთდა და ამით ვამაყობთ ჩვენაო“, მოდით და ნურც ეხლა იამაყებენ?!..

ტყუილად-კი არ დასტირის ნიანგის ცრემლებით ჩვენი გერმანიაში განსწავლული „ფინანსისტი“ „პრესის გათახსირებასა, ლიტერატურულ უზნეობასა და პირადობის შეხებას“, ტყუილად-კი არა ჰდარაჯობს „ლიტერატურულ ზომიერებასა, ზნეობა სა და მიუდგომლობას“!.. დიაღ, ეს ჭიათურაში მომხდარი ამბავი ნამდვილი „ლიტერატურულ ზომიერებისა, ზნეობისა და მიუდგომლობის“ დარაჯობაა და უეჭველია ამ დარაჯობის ნაყოფს კიდევ ბევრს გვაგემებს ნოე ჟორდანია ამ ჭიათურისებურ წერილების გამოქვეყნებით!..

მაგრამ კმარა, ეს ამბავი თავით თვისითაც მეტად მჭევრ-მეტყველად ჰლაღადებს ნოე ჟორდანიას დევ-გმირობას და განმარტება და განმარცველა არღა სჭირია!.. ამ „ზნეობისა და მიუდგომლობის“ მაგალითს თვით ნოე ჟორდანიამ და მისმა „კვალმა“ გამოუჭედონ სახელი, ჩვენ-კი ვდუმებთ მათის „ზნე-მაღლობითა“ და „მათისა და ხალხის გრძნობის შეერთებით“ განცვიფრებულნი!..

ჩიორა

*) იხ. „ივერია“ №№ 100, ჩემი „სახვლდახელო“, და 113 და 114, ბ-ნ იპ. ვართაგავას წერილები.

[1]) ტყუილად-კი არა დრტვინავს ნოე ჟორდანია, „ივერია“ ილანძღებაო! ეს სიტყვები-კი გინება ხომ არ არის, ლოცვა-კურთხევაა!..

[2]) ნეტა ჩვენც გვაცოდინა, რა მიმართულებაა, რომელიც უეჭველია ამ ბ-ნთ კიკიანსა, ჩიხლაძესა, მარაქველიძეს და სხვათ „ესმით!“ არ შეიძლება, ამ ბატონებმა ან „კვალს“, ან „ივერიას“ გაუზიარონ, როგორ ესმით ეს მიმართულება, რომ ჩვენც, უვიცთ, შევიძლოთ და მისი სიტკბოება და მშვენიერება ვიგემოთ? იმედია, ბ-ნი მარაქველიძე და სხვანი ჩვენც გაგვრევენ მარაქაში და თავისის ბრწყინვალე გონების „ნასმენის“ შუქს მოგვაფენენ!.. პ. სურგულაძის მიმართულება-კი აშკარად გამოირკვა, აშკარად დავინახეთ, რომ ამ ბატონს „დიდი სურვილი და მადა“ ჰქონია და „მორიდება“ სხვისის საკუთრების წინაშე სადღაცა დაჰკარგვია. ვიცით ისიც, რომ ნოე ჟორდანიასაც „დიდი სურვილი“ აქვს ტყუილითა და მართლით ფონს გასვლისა და „მორიდება“, „ზნე-ფაქიზობა“, „კანონიერება“ დიდი ხანია შემომწყრალები ჰყავს, მაგრამ ის-კი არ ვუწყოდით, თუ იმასაც „მიმართულება“ ჰქონდა!..

[3]) ვიშ, რა სიტყვა-პასუხია!..

[4]) გულის ხმა ჰყავით, თურმე ყველასა სცოდნია, „ვინ არის „ახალ-მოსული“ და ვინ ნოე ჟორდანია?!.“ ამ ცოდნიდგან მომდინარეობს ალბად ის აზრიც, რომ „ახალმოსული“ კინტო ყოფილა!.. არ შეიძლება ამ ბატონებმა ჩვენც გვაცოდინონ ვინაობა „ახალ-მოსულისა“, რაკი აგრე კარგად სცოდნიათ მისი ბიოგრაფია?!.

[5]) ყველაზედ საყურადღებო ეს მუქარაა: თუ არ მოიშლის „ახალ-მოსულთან“ კამათს, „კვალში“ თანამშრომლობას დაანებოს თავიო!“ ამ მუქარას ისეთი სუნი უდის, თითქოს თვით დასამუქრებელი შეჰხვეწნია დამმუქრებელთ, დამემუქრეთ, დამიხსენით როგორმე „ახალ-მოსულისაგან“, თორემ ცუდს დღეს დამაყენებსო!.. თქვენ რომ მაგას დამიწერთ, ჩავჩუმდები და სირცხვილეული არ მომიხდება უკან გაბრუნებაო!..

# უცხოეთი

**ჩინეთი.** ჩინეთიდგან მოსულმა უკანასკნელმა ამბებმა ძლიან დააფიქრა ევროპის სახელმწიფოთა მთავრობანი. როგორც ეტყობა, „დიდის მუშტის“ ბრბოებს და იმასთან ერთად თვით მთავრობას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განდევნოს ჩინეთიდგან ევროპიელნი. უკანასკნელ დეპეშებიდგანა სჩანს, რომ ბრბონი პეკინშიაც შესულიან, დაუქცევიათ იქ სახელმწიფოთა საელჩოები და გერმანიის ელჩიც მოუკლავთ. თუ ეს ამბები მართალია, ეჭვი არ არის დიდნი სახელმწიფონი ადვილად არ ჩაუტარებენ ჩინეთს ასეთს ძალმომრეობას იმათ ქვეშევრდომებზედ. პეკინში მომხდარ ამბების შესახებ, ჯერ ჯეროვნით არაფერს იუწყებიან გაზეთები, რადგან ტელეგრაფი პეკინსა და სხვა ქალაქებს შუა გაფუჭებულია. გაზეთებს სხვა მკვლელობათა შესახებ მოაქვთ ამბავი. იუწყებიან, მაგალითად მანჯჯიდგან ბელგიელ ინჟინრების მოკვლის შესახებ. 31 ევროპიელი, მათ შორის ექვსი მანდილოსანი და ერთი ბავშვი, პაოტინფუდგან ნავებით წასულან, გზა დაჰხვედრიათ და ნაპირზედ გადამსხდარან. აქ თავს დასხმიან „დიდის მუშტის“ კაცები და ბევრნი ამოუწყვეტიათ, მხოლოდ რამდენიმე კაცს მოუხერხებია გაქცევა და დამალვა.

— ყველა სახელმწიფო ეხლა იმასა სცდილობს, რაც შეიძლება მეტი ჯარი იყოლიოს ჩინეთის მახლობლად, რომ თუ ვინიცობაა, რამე მოხდა, ეს ჯარი მაშინვე ჩინეთში შეჰგზავნოს. ეს უფრო ადვილი უფრო იაპონიისათვის არის მოსახერხებელი, რადგანაც იგი ჩინეთზედ ახლოა. მაგრამ იაპონიის გარდა რუსეთსაც კარგა დიდი ჯარი ჰყავს, როგორც პორტ-არტურსა და ტალიენვანში, აგრეთვე ჩინეთის მოსაზღვრე ადგილებში—უსურისა და პრიამურის ოლქებში. პორტ-არტურსა და ტალიენვანში რუსეთს სულ 14,000 ჯარისკაცი ჰყავს და 24 ზარბაზანი აქვს; ხოლო ორს ზემოხსენებულს ოლქში 44,000 კაცი და 68 ზარბაზანი. 1000 ჯარის-კაციც რუსეთს მანჯურიაში ჰყავს, სადაც რკინის გზა გაჰყავთ. ჩინეთის წყლებში მყოფი რუსეთის ფლოტი კიდევ 44 დიდისა და პატარა გემისაგან შესდგება.

**ინგლისი.** აწინდელ ომის წინააღმდეგთა რიცხვი ინგლისში თან და თან მატულობს. ამ წინააღმდეგთა უმრავლესობას მუშები და დედაკაცები შეადგენენ. ამ დღეებში ლონდონის მანდილოსნებს აზრადა აქვთ გამართონ დიდი მიტინგი. მიტინგს ჰმართავენ საზოგადოებათა პალატის წევრების ბრეიტისა და ბურტის მეუღლენი, ლორდთა პალატის წევრების მარკიზ ოფ-რიპენისა და ლორდის გოგოუზის მეუღლენი, ლედი აგატა რასსელი, ლედი ფორრერი, მუშა ქალთა წარმომადგენელი და შესანიშნავი მჭერ-მეტყველი ქალი გიგსი და სხვანი. ამ მიტინგს აზრადა აქვს პროტესტი გამოუცხადოს მთავრობას და იმის პოლიტიკას სამხრეთ-აფრიკის საქმეებში. რადგანაც მოწინააღმდეგეებს განუზრახავთ ხელი შეუშალონ მიტინგს, გამმართველთ რამდენიმე ათასი მუშა მოუწვევიათ. ეს მუშები გარს შემოერტყმიან იმ ადგილს, სადაც მიტინგი გაიმართება და მოწინააღმდეგეთ არ შეუშვებენ იქა.

## სასამართლოს მატიანე

თავ. ივანე ნ. ჯორჯაძისა, მარიამ ტატულაშვილისა და მაჰმედ ანტელაშვილის საქმე.

სამშაბათს, 6 ივნისს, სამოსამართლო პალატის 1 სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა ცნობილი საქმე თელავის მაზრის მცხოვრებთა თავ. ი. ნ. ჯორჯაძისა, მარიამ ტატულაშვილისა და დაღესტნის ოლქის მცხოვრების მაჰმედ ანტელაშვილისა, რომელთაც მარიამის ქმრის საბრალო ტატულაშვილის მოკვლა ჰბრალდებოდათ. ბრალდებულს თ. ჯორჯაძეს იცავდა ნაფიცი ვექილი ბ-ნი გრუზენბერგი, ხოლო მარიამ ტატულაშვილისას ნაფიც ვექილის თანაშემწე ბ-ნი ბახუტოვი. პირველად ეს საქმე განიხილა ამა წლის აპრილში ტფილისის ოლქის სასამართლომ. პალატაში ეს საქმე თვით ბრალდებულთ გადაიტანეს. ამ საქმის გარემოება შემდეგია:

1896 წლის მაისს თვეში თელავის მაზრაში უკვალოდ დაიკარგა გლეხი საბრალო ტატულაშვილი, რომელიც ვერსად იპოვნეს, ვერც მკვდარი და ვერც ცოცხალი, თუმცა ბევრი ეძებეს. ტატულაშვილი ემსახურებოდა თავ. ჯორჯაძეს, რომელმაც მისის დაკარგვის მეორე, თუ მესამე დღეს გამოუცხადა პოლიციის ბოქაულს, რომ საბრალო ტატულაშვილი ტყეში გავგზავნე და ეს მესამე დღეა არსადა სჩანსო. პოლიციის ბოქაული მაშინათვე შეუდგა ძებნას, მაგრამ ვერავითარს კვალს ვერ მიაგნო. გავიდა ორი წელიწადი. ეს საქმე უკვე დავიწყებას მიეცა, რომ 1898 წლის სექტემბერში სოფ. გრემში პოლიციამ შეიპყრო ლეკი მაჰმედ ანტელაშვილი, თავ. ჯორჯაძისავე მოსამსახურე, უპასპორტობისა გამო; ანტელაშვილი სრულიად მოულოდნელად გამოუტყდა პოლიციას და უამბო ტატულაშვილის მოკვლის ყოველივე ვითარება. ანტელაშვილმა განაცხადა: 1896 წელს თავ. ჯორჯაძემ დაღესტნიდგან დამიბარა. როგორც შემდეგ შევიტყე, თავ. ჯორჯაძე ჰყვარობდა თურმე თავისს მსახურის ცოლს მარიამ ტატულაშვილისას; ეს სცოდნია მარიამის ქმარს საბრალოს, მაგრამ რადგანაც ჯორჯაძისაგან ამისათვის თვეში ექვს მანეთს იღებდა, არაფერს უკმაყოფილებას არ უცხადებდა. უკმაყოფილობა საბრალომ განაცხადა მხოლოდ მაშინ, როდესაც თავ. ჯორჯაძემ მოუსპო დაპირებულის 6 მანეთის ძლევა, რის გამოც საბრალო დამუქრებია, მოგკლავო. იმავე ანტელაშვილის სიტყვით, იგი ჯორჯაძეს იმისათვის დაუბარებია დაღესტნიდგან, რომ საბრალო მოეკლა და ამ რიგად მეტოქე თავიდგან მოეშორებინა. ასეთის წინადადებით ჯორჯაძეს ჩამოსვლისათანავე, მესამე თუ მეორე დღეს, მიუმართავს. თვით მკვლელობა ასე მომხდარა: ერთს დღეს თავადს საბრალო მარანში ღვინისთვის გაუგზავნია. მოუტანია-რა ღვინო, ჯორჯაძეს საბრალო სახლის ქვემო სართულში შეუყვანია, დაუთვრია და იქვე ტახტზედ დაუწვენია. ამ დროს მარიამი სახლში პურს აცხობდა თურმე; შინ სხვა არავინა ყოფილა; ჯორჯაძეს მაჰმედისათვის დაუძახნია და უთქვამს: „ახლა კარგი დროა, მოჰკალიო“; ანტელაშვილი ჩასულა ქვემო სართულში და, უნახავს რა მძინარე საბრალო, შესცოდებია და ვერ გაუბედნია მისი მოკვლა, გამოსულა კარში და ბალკონზე მდგომ თავადისათვის უთქვამს, არ შემიძლიანო. გაჯავრებული ჯორჯაძე თვით ჩასულა სარდაფში, დაუკრავს ქვა კეფაში საბრალოსათვის და იქვე მოუკლავს. მერე საბრალო, მაჰმედის ჩვენებით, გაუხვევიათ სალდათის ფარაჯაში, გაუთხრიათ ღამით მიწა გომურის ქვეშ და ჩაუფლავთ იქ. შემდეგ საბრალოს გვამი ამოუღიათ იქიდგან და ტყეში ჩაუფლავთ. ოლქის სასამართლოში საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ თავად ჯორჯაძესა და მარიამს მართლაც დაახლოვებული დამოკიდებულება ჰქონდათ. თვით ჯორჯაძეს უთქვამს, რომ ეს მარიამის ქმარმაც იცოდა, მაგრამ რადგან ჩემგან ფულს იღებდა, არაფერს ამბობდაო. მოწმეთა ჩვენებიდგან აღმოჩნდა, რომ მოკლული საბრალო ტატულაშვილი მეტად უზნეო კაცი ყოფილა. ოლქის სასამართლომ სამივე ბრალდებული დამნაშავედ იცნო.

სამოსამართლო პალატამ 6 ივნისს, განიხილა რა დაწვრილებით მთელი საქმის გარემოება, როგორც „ივერიის“ მკითხველებმა უკვე იციან, დამნაშავედ იცნო თავ. ჯორჯაძე, მაჰმედ ანტელაშვილი და მარიამ ტატულაშვილისა და სამივეს კატორღაში გაგზავნა გადაუწყვიტა, პირველ ორს—ათის წლით, ხოლო ტატულაშვილისას — თორმეტის წლით.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

კონსტანტინეპოლში ბევრს ლაპარაკობენ ამ ჟამად ერთის ეგვიპტელის ბეისა და აბდულ-რეზაკ-ფაშის, სულთანის ცერემონიმეისტერის, შესახებ. მიზეზი ამ ლაპარაკისა ის არის, რომ როგორც ბეიმ, აგრეთვე ცერემონიმეისტერმა ცოლებად ქრისტიანის ქალები შეირთეს. ბეიმ, მეტად მდიდარმა კაცმა, შეირთო ამერიკელის მილიონერის სიუის ქალი, ხოლო ცერემონიმეისტერმა აბდულ-რეზაკ-ფაშამ ინგლისელი ქალი, კბილის ექიმი გორნიკი. ორივე ქორწინება მაჰმადიანთა წესით იქმნა შესრულებული. ორსავეს ცოლებისათვის პირობა დაუდვიათ, არ ვიყოლიებთ სხვა ცოლებსაო.

* * *

უკანასკნელის მზის დაბნელების დროს ერთი ახალი პლანეტი აღმოუჩენიათ. დღევანდის გვონით, რომ მზეზედ ყველაზედ ახლო პლანეტა მერკურიაო. მერკურისა და მზის შუა ერთი ვარსკვლავის ჰხედავდნენ. ამ ვარსკვლავის გამო დიდი კამათი ჰქონდათ ვარსკვლავთ-მრიცხველთ: ერთნი ამტკიცებდნენ, რომ იგი პლანეტაა, მეორენი-კი წინააღმდეგს გაიძახოდნენ. ეხლა მზის ამ დაბნელების დროს დარწმუნებულან, რომ ეს ვარსკვლავი მართლაც პლანეტა ყოფილა.

***

სამხრეთ აფრიკის ომმა, სხვა უბედურებასთან ერთად, ასე გასინჯეთ, ცირკის პატრონებიც დააზარალა და დაღუპა. ცირკებისათვის სხვა-და სხვა ნადირებს უმთავრესად სამხრეთ აფრიკიდგან მოჰყავდათ ხოლმე. იქიდგან ამ ნადირებს ბურები, ხოლო ინგლისელები ეზიდებოდნენ თავიანთ გემებით და ევროპაში ასაღებდნენ. ომის დაწყებიდგან, ბურები, რასაკვირველია, ველარ მოიცლიდნენ ნადირობისათვის და გარდა ამისა, ინგლისის მთავრობამ სამხრეთ აფრიკასა და ევროპის შუა მიმოსვლელ გემები დაიქირავა, ასე რომ აღარც ერთი თავისუფალი გემი აღარ არის სამხრეთ აფრიკაში ნადირების გამოსაზიდად.

***

გერმანული გაზეთები შემდეგ ამბავს მოგვითხრობენ ინგლისელ გენერალის უორრენის შესახებ, რომელიც ბურებმა არა ერთხელ დაამარცხეს. უორრენს ძალიან ჰყვარებია თურმე ცივ წყალში ბანაობა. ისე დღე არ გავა, რომ მდინარეში არ იბანაოს, ან და ვანა არ მიიღოს. ამ თავისს ჩვეულებას ბრძოლის დროსაც ვერ ანებებს თავს თურმე. ვალ-კრანცში ყოფნის დროს ჯერ მზე არც-კი ამოსულიყო, რომ ბურებს ინგლისის ბანაკისათვის ყუმბარები და ტყვიები დაუშენიათ. სერ ჩარლს უორრენმა, რაკი დაინახა რომ ასეთ დროს ვერ [illegible] და საბანაოდ ვერ წავიდოდა, უბრძანა მოსამსახურეს იქვე მიეტანა ვანა, პირსახოცი, ღრუბელი და საზოგადოდ ყველა ის, რაც-კი საჭირო იყო. სწორედ იმ დროს, როდესაც [illegible] ერთი გრძელი [illegible], უორრენი გულ-მოდგინედ ღრუბელს ისვამდა თურმე. მოულოდნელად ჯარის მთავარ-სარდლის ბულლერისაგან კაცი მოსულა და უთქვამს, გენერალი ბულლერი გიბარებთო. ამისდა მიუხედავად უორრენს ბანაობისათვის თავი არ დაუნებებია და ბულლერისათვის შეუთვლია, დიდ საქმეზე ვარ და ვერ მოვალო. ცოტა ხანს შემდეგ მეორე კაცი მისულა, მერე მესამე, მაგრამ [illegible]. მომთხოვნებიდგან გამოსული, ბულლერის თავის წასვლა გადაუწყვეტია, და ამ დროს [illegible] ინგლისის ჯარი [illegible] რომ თავისთავად [illegible].

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 ივნისი.

**კაპშტადტი.** ახალი კაბინეტი უკვე შედგა: გორდონ სპრიგგი პირველ მინისტრად და ხაზინის მინისტრად არის დანიშნული, გრეგორი—ახალშენთა მინისტრად, რუსინი—მთავარ პროკურორად, სმარტი საზოგადო მუშაობათა მინისტრად, ფუერი მიწად-მოქმედების მინისტრად, ფროსტი მინისტრად უპორტფელოდ.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება პრეტორიიდგან, რომ 800 ბურმა ზანდრივერზე იერიში მიიტანა, მაგრამ კოკსის მიერ განდევნილ იქმნენ; ბრიტანიელთაგან ერთი აფიცერი და 2 ჯარის-კაცი იქმნა მოკლული, ერთი ოფიცერი და 8 ჯარის-კაცი დაჭრილია.

ერთმა იაპონელმა სამხედრო ხომალდმა, რომელიც წარსულ ღამეს ჩიფუში მივიდა, ამბავი მოიტანა, რომ საერთაშორისო ჯარების უფროსები მასთან ერთად ტაკუში დაბრუნდნენ. გუშინ დილის პირველის ნახევარ საათზედ ჩინეთის სიმაგრეებიდგან ზარბაზნების სროლა დაუწყიათ სამხედრო გემების, რომლებიც მდინ. ტაკუს შესართავში იდგნენ; გემებიდგან სიმაგრეებს ცეცხლით უპასუხეს. როდესაც დილის 5 ნახევარ საათზე იაპონიის გემი ტიან-ძინში წავიდა, სროლა ჯერ კიდევ არ იყო შეწყვეტილი. შანხაის ყველა ხომალდებიდგან ჯარები იქმნა გადმოსხმული დასაცველად. ტაკუს პირდაპირ ჩინეთის ერთი გემი იდგა, მაგრამ არაფერი არ იღონა. გონკონგიდგან გამოსული ინგლისის ხომალდი ტაკუში ხუთშაბათს მოვიდა; ამავე დღეს მოვიდა რუსეთის, იაპონიის და საფრანგეთის[illegible] ჯარს. ამ ქამად გზაში არიან გონკონგიდგან და მანილადგან მომავალი ინგლისის სამხედრო გემები. გონკონგელ ინგლისელები იქმნება მიღებული, რომ უკანასკნელ ქამს ადმირალ სეიმურთან მიმოსვლა არ შესწყვეტია. მთავრობას ამბავი მოსვლია, რომ ტაკუსა და ტიან-ძინს შუა ლიანდაგები გზავნა აღდგენილია.

**პალიტა.** ბოლოჯერ განაცხადა, რომ მთავრობას განზრახვა აქვს ინდოეთიდგან გაგზავნოს ჯარი მისაშველებლად გონკონგში.

**ძიჩაუ.** კრეისერი „ირენი“ დღეს წავიდა ტაკუში 240 საზღვაო ჯარის-კაცით. აქ ყოველივე დამშვიდებულია.

**ლონდონი.** ტაკუს ორსავე ნაპირზედ სიმაგრეები უკვე დაჭერილია.

17 ივნისს ჩინელებმა მოულოდნელად სროლა აუტეხეს. შეერთებულმა ჯარებმა 21 მოუკლეს, 57 დაუჭრეს. ტაკუს მახლობლად მდგომი ჩინეთის სამხედრო ნავები შეერთებულმა ჯარებმა დაიჭირეს.

**ბუდა-პეშტი.** მინისტრ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ჩვენი 25 კაცი სადესანტო დასაცველად შეერთებულ ჯარებს შეუერთდა.

**ქიეფი.** ავადმყოფ მიტროპოლიტს ჯერ-ჯერობით გამოკეთება არ ეტყობა.

**პრეტორია.** ბადენ პოუელი ჩამოვიდა.

**პარიჟი.** დელკასეს თხოვნის თანახმად, ჩინეთის ელჩმა იუანის ვიცე-კოროლს დეპეშა გაუგზავნა, რომ ფრანგებს მფარველობა გაუწიოს და მათს წამოსვლას ხელი შეუწყოს.

**ვაშინგტონი.** მაკ-კინლეიმ მაკ არტურს მიწერილობა გაუგზავნა, რომ მანილადგან ტიან-ძინში 5,000 კაცი გაგზავნოს; ადმირალ რემის მიწერილობა გაუგზავნა, რომ სამხედრო გემი „ორეგონი“ გაგზავნოს.

**პარიჟი.** ელისეის სასახლეში მომხდარს მინისტრთა ბჭობაზედ დელკასემ განაცხადა, რომ ჩინეთის საქმის შესახებ ყველა სახელმწიფონი ერთი-მეორის თანხმად იქცევიან. საფრანგეთი ელჩი იუწყება შანხაიდგან, რომ ვიცე-კოროლმა ბრძანება გაუგზავნა სამოქალაქო და სამხედრო უწყების მოხელეთ უცხოელთ არა დაუშავონ-რაო. როგორც დეპეშა იუწყება, ლიხუნ-ჩანგი საჩქაროდ გაუწვევიათ პეკინში. ლონდონი იუწყება, რომ კრეისერი „გუიშენი“ 10 ივნისს წავა ტაკუშიო, კრეისერი „შარნეკ ფრიანტი“ 16 ივნისსაო. ამავე დროს ორი ბატალიონი და ორი ბატარეა დაქირავებულ გემ „რივერით“ იქმნება გაგზავნილიო.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება პრეტორიიდგან, რომ აქა და იოჰანესბურგში მშვიდობიანობაა. პრეტორიის დაპყრობის შემდეგ ჩაუბარებიათ 2,000 ჯარის-კაცის იარაღი, რომელიც მოუხმარებიათ განთავისუფლებულ ტყვეთა შესაიარაღებლად; ამ ტყვეთა რიცხვი 3,187 კაცს უდრის.

**ბერლინი.** დიდი სამხედრო ხომალდი „თავადი ბისმარკი“ აღმოსავლეთ აზიაში მიდის ივნისის დამლევს.

**სტოკჰოლმი.** ტრომსედგან იუწყებიან, რომ კოლტგოფის ექსპედიცია 27 მაისს მისულა გორნზუნდში. ყინული დათვის კუნძულისა გაუვალი აღმოჩნდა თურმე, ხოლო გორნზუნდის მიდამოები თოვლით არის დაფარული. ექსპედიცია ცზეფიორდისაკენ წასულა.

7 ივნისი

**პეტერბურგი.** „პრავიტელსტვენი ვესტნიკში“ დაბეჭდილი, რომ მთავარს საზღვაო შტაბს პორტ-არტურიდგან შემდეგი ცნობები მიუღია: 4 ივნისს შვიდი საათის ბრძოლის შემდეგ ტაკუს სიმაგრეები დაუჭერიათ; მონაწილეობას იღებდნენ სამხედრო ნავები „კორეეცი“, „გილიაკი“, „ბობრი“, საფრანგეთის ნავი „ლიონი“, ინგლისისა „ალგერინა“ და გერმანიისა „ილტისა“, რომელთაც კაპიტანი დობროვოლსკი უფროსობდა. ჩვენ დაგვაკლდა: ლეიტენანტი ბურაკოვი, რომელიც მოკლულია, სასიკვდილოდ დაჭრილია გენერალი დედენევი, მძიმედ დაჭრილია ტიტოვი და სუბუქად ბოგდანოვი; ჯარის-კაცებიდგან მოკლულია 16 და დაჭრილია 67; ეს ზარალი ნავებს „გილიაკსა“ და „კორეეცს“ მოუვიდა. ნავი „გილიაკი“ ძალიან არის დაზიანებული, ნავი „კორეეცი“ ექვს ადგილას არის ძირიდგან გახვრეტილი.

**სიმფეროპოლი.** საგუბერნიო ერობის გამგეობის მიერ სამადლო დაწესებულებებში რამდენიმე ბოროტ-მოქმედება იქმნა აღმოჩენილი სისხლის სამართლის ხასიათისა; ბევრი ყალბი ანგარიში იქმნა აღმოჩენილი.

**ლონდონი.** მისსიონერთა საზოგადოებამ დეპეშა მიიღო ხარკოუდგან, რომ ხარკოუს მახლობლად ტიატსტიკის მისსიის შენობა აჯანყებულს ხალხს სრულიად დაუქცევია. მისსიონერები ხანკოუში უვნებლად მოვიდნენ. იაპონიამ გადასწყვიტა ჩინეთში 3,000 კაცი გაგზავნოს.

**სიმლა.** გარდაწყვეტილია ადგილობრივ ჯარების ექვსი რაზმი, ადგილობრივ პიონერთა ერთი როტა და ერთი ბატარეა არტილერია იქმნას ჩინეთში გაგზავნილი,

**ტოკიო.** 14 ივნისიდგან აქაურს მთავრობას არავითარი მიწერ-მოწერა არა აქვს პეკინთან. ჩიფუში მყოფს იაპონიის კონსულს არა-ეცნობება-რა იმის შესახებ, რომ პეკინში უცხო სახელმწიფოთა მისსიები იქმნა აღებული.

**ვილგელმსგაფენი.** მეორე საზღვაო ბატალიონმა ბრძანება მიიღო ჩინეთში წასასვლელად მზად იყოს.

**ტულონი.** ჩიეთში ატეხილ ამბების გამო, ჩვენს ნავთ სადგურში დიდი მოძრაობაა, რომ ყოველს წამს მზად ვიყვნეთ. აქამდის მხოლოდ ორს კრეისერსა აქვს ბრძანება მიღებული წასასვლელად მზად იყოს. საზღვაო ქვეითა ჯარის მეოთხე ბრიგადა მზად არის ახალშენთა კონტინგენტების შესახებ ყოველივე მოთხოვნილება აღასრულოს.

**ლორენცო-მარკეზი.** გეტკოპსპრუიტის მახლობლად მდ. მელალეზედ მდებარე რკინის გზის ხიდი დაქცეულია.

**კილი.** პირველმა საზღვაო ბატალიონმა ბრძანება მიიღო ჩინეთში წასასვლელად მოემზადოს.

**ლონდონი.** ადმირალტეისტვოს ჯერ კიდევ არ მიუღია ცნობა იმის შესახებ, რომ ტაკუს სიმაგრეების დროს ორი ინგლისელი ხომალდი დაძირულიყოს. აქ ამ ხმას გამოგონილად სთვლიან. პორტლანდში მყოფმა ხომალდებმა „დიადემ“ ამ და ფურიუსმა ბრძანება მიიღო ჩინეთს წავიდნენ.

**პარიჟი.** 29 ივნისიდგან საფრანგეთს ტაკუში 4,200 კაცი ეყოლება, ჩინეთის წყლებში საფრანგეთს სულ 12 სამხედრო გემი ეყოლება.

**ლონდონი** 17 ივნისამდე ბრიტანიის კონტრ-ადმირალს ჯერ კიდევ არავითარი ცნობა არ მიუღია, რომ ჯარის მეუფროსე ადმირალი დაბრუნებულიყოს.

**კონსტანტინეპოლი.** სმირნაში ორი ახალი ავადმყოფი კიდევ აღმოჩნდა შავის ჭირით სომეხთა და ბერძენთ შორის.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ, ყველა იმათ, რომლებმაც შემწეობა აღმოუჩინეს აცანის სამკითხველოს წიგნებით და ფულად. სია შემომწირველთა: დავით ფოცხიშვილმა 12 მან., ვლადიმერ სოფრომის ძე ქეიშვილმა 9 მ. 30 კაპ., მ. მახარაძემ 3 მ. 45 კ. ფულად: მ. ჩხაიძემ 3 მ., ბიქტორ მერაბის ძე მგელაძემ 1 მ. ალექსანდრე დათუნაიშვილმა 1 მ., ერმალო ოქროპირის ძე წილოსანმა 50 კაპ., ნიტიფო გოგვაძემ 20 კაპ., ალ. ჩხაიძემ 50 კაპ., გიგო მგელაძემ 50 კაპ., ბიქტორ ჭანტურიშვილმა 50 კაპ., მირიან ჭანტურიშვილმა 50 კაპ.

გამგე სამკითხველოსი არონ ჩხაიძე



## განცხადებანი

ცფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით, 1900 წლის 15 ივნისისათვის დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის ლომონაძის სავაჭრო ფარდულები.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9 დგან 1 საათამდე.

(3—6.—2)

ამა წლის პირველ აპრილიდგან

დაბ. ქარელიდან დ. ცხინვალამდე

ივლის ომნიბუსები

კაცის თავზე ფასი 90 კაპ. ომნიბუსი ქარელიდგან გავა პირველ საათის ნახევარზე და მივა ცხინვალს 4 საათსა. ცხინვალიდან წამოვა დილის შვიდ საათსა და იქმნება ქარელს ათის ნახევარზე.

ომნიბუსების პატრონნი: აბელ გალასტოზაშვილი და თ. ა. ნ. ციციშვილი.

(10—6.—10)



თვით-მოძრავი ელევატორი ხან-აგოვისა.

ასეთს ელევატორს დღე და ღამ განუწყვეტლივ აქვს წყალი თავის-თავად ქვეიდგან ზევით. იგი საუცხოვოა მინდვრებისა და ბაღების სარწყავად.

მსურველმა ამ ადრესით უნდა მიჰმართოს:

Л. Е. Ханъ-Агову, Тифлисъ, Петербургская улица, № 12.

(15—102—9)

„იავნანამ რა ჰქმნა?“

სახალხო და საყმაწვილო მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა,

დაბეჭდილი მესამედ „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ, რომლის საკუთრებასაც შეადგენს. წიგნაკი შემკულია ცხრა სურათით და ღირს ერთ შაურად. იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში და სხვა ქალაქებშიაც გაიგზავნება.

(4—2)